ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე
კომისიის წევრი: მარიკა არევაძე
კომისიის წევრი: ცისმარი ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.02.2021

I შეკითხვა:
სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის ერთ-ერთი გამომრიცხავ გარემოებებია: „თუ იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს“ (სსსკ-ის მუხლი 60 (ბ) პუნქტი).
ადვოკატი დაახლოებით 1 წლის წინ იცავდა X-ს, როგორც ბრალდებულს; მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.
ამჟამად, ადვოკატს დაევალა Y-ის ინტერესების დაცვა, როგორც ბრალდებულის. დაზარალებულს ამ შემთხვევაში წარმოადგენს X - ადვოკატის ყოფილი დასაცავი. Y-ის ინტერესების დასაცავად აუცილებელი გახდა, მიმდინარე გამოძიების პროცესში მტკიცებულებები მოპოვება, მათ შორის - ინფორმაცია X-ის პიროვნების დისკრედიტაციისათვის – როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი და ამორალური პიროვნების.
ადვოკატმა უნდა გამოითხოვოს განაჩენი და სხვა ინფორმაცია, რომელთანაც ადვოკატს შეხება მქონდა, როგორც X–ის წარმომადგენელს. სასამართლო პროცესებზე, შემდგომში Y-ის საქმეზე დასაკითხი იქნება X, როგორც დაზარალებული (მოწმე), და თავისთავად, კითხვები იქნება მრავალმხრივი, რადგან Y თავს არ ცნობს დამნაშავედ და დაობს ბრალდებასთან მიმართებაში, თვლის, რომ მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი X-ის დაზარალებას. მოცემულ შემთხვევაში, არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ან/და მისი წარმოშობის საფრთხე?

II ანალიზი:

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის თავიდან არიდების და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში:

> *ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).*
>
> *ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 6.2)*
>
> *1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით;*
>
> *2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში;*
>
> *3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:*
>
> *ა) კლიენტის წინააღმდეგ;*
>
> *ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.*
>
> *4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:*
>
> *ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;*
>
> *ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4)*

ინტერესთა კონფლიქტი რამდენიმე სახის არსებობს: კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, კლიენტსა და ადვოკატს შორის, მათ შორის, არსებულ კლიენტსა და ყოფილ კლიენტს შორის. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ან მისი საფრთხის წარმოქმნის

შეფასებისთვის განმსაზღვრელი ფაქტორია, რამდენად დასაშვებია ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება არსებული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #092/10).

„...კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდგომში „ეთიკის კომისია“, 2018 წლის 05 ნოემბრის #009/18 წერილობითი რეკომენდაცია).

კონფლიქტის მიუხედავად, წარმომადგენლობა დასაშვებია თუ:

1. *სხვადასხვა კლიენტს საერთო ინტერესი აქვთ;*
2. *თანხმობას აცხადებენ რომ ერთი და იმავე ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები;*
3. *კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე არ არის სახეზე, იმ პირობებშიც კი, როდესაც ადვოკატი წარმოადგენს რამდენიმე კლიენტს; და*
4. *კონფლიქტი არ უშლის ადვოკატს ხელს იმოქმედოს მისი ყველა კლიენტის ინტერესების ფარგლებში.*

ეს შესაძლებლობა არ მოიცავს დაპირისპირებული მხარეების (მაგალითისათვის მოსარჩელის და მოპასუხის) ერთი და იმავე საქმეში, ერთი ადვოკატის მიერ წარმომადგენლობას. (იხ. წერილობითი რეკომენდაცია 003/20 30.06.20)

„როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესები (წესი 1.7(ა)) ითვალისწინებს იმ შეუთავსებელ ურთიერთობებს, რა შემთხვევებშიც, არ არის შესაძლებელი კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების დროსაც კი წარმომადგენლობის განხორციელება.

კერძოდ, 1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს, 2. მნიშვნელოვანი რისკია იმისა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020). ინფორმირებული თანხმობის შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც დაცულია კლიენტის ინტერესები და კლიენტს აქვს უფლება გასცეს ამგვარი თანხმობა.

შეკითხვიდან დგინდება, რომ თავდაპირველად, ადვოკატი იცავდა X-ის, როგორც ბრალდებულის ინტერესებს და დაასრულა მისი საადვოკატო მომსახურება. შემდგომ, სხვა საქმეზე ადვოკატმა დაიწყო Y-ის, როგორც ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენა, სადაც ადვოკატის ყოფილი კლიენტი X საქმეში ჩართულია, როგორც დაზარალებული.

თავისთავად, მხოლოდ ის გარემოება, რომ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ უნდა აწარმოოს ადვოკატმა საქმე არ წარმოადგენს ადვოკატის პროფესიული რეგულაციის დარღვევას, თუმცა ამგვარი წარმომადგენლობისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ყოფილი კლიენტის წინაშე არსებული ეთიკური ვალდებულებები და უნდა განსაზღვროს ის საფრთხეები, რაც შეიძლება შეფასდეს ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებად.

სხვა ეთიკური ვალდებულებებისგან განსხვავებით, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა არ არის დამოკიდებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტასთან, ის განგრძობადია, არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული დროით. აღნიშნული ვალდებულების უგულებელყოფა ზიანს აყენებს არამხოლოდ კონკრეტულ კლიენტს, არამედ საფრთხის ქვეშ აყენებს პროფესიის რეპუტაციას და მის მიმართ არსებულ ნდობას.

განსახილველ შემთხვევაში, არსებული კლიენტი და ყოფილი კლიენტი მკაცრად დაპირისპირებული მხარეები არიან, მათ შორის შეკითხვაში მითითებულია, რომ X-სგან მისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია სასარგებლოა არსებული კლიენტის ინტერესების დაცვისათვის. შედეგად, ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მოქმედება მოიცავს მისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას და მით უფრო, მისი გამოყენება ემსახურება ყოფილი კლიენტის პიროვნების დისკრედიტაციას. ასეთი წარმომადგენლობა არ არის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დაშვებულია ინტერესთა დაპირისპირების მიუხედავად წარმომადგენლობის განხორციელება.

III დასკვნა:

ვინაიდან, ყოფილი კლიენტისა და არსებული კლიენტის ინტერესები ერთ საქმეში ერთმანეთს უპირისპირდება, (ბრალდებული და დაზარალებული) დაუშვებელია ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მის წინააღმდეგ. აღნიშნულ შემთხვევაში, არ არის სახეზე ის შემთხვევა, როდესაც დაშვებულია კონფლიქტის მიუხედავად წარმომადგენლობა. შედეგად, ადვოკატის ვალდებულებაა არ განახორციელოს საადვოკატო მომსახურება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, თუ საქმესთან დაკავშირებით არათუ საფრთხე ექმნება მისგან მიღებულ პროფესიულ საიდუმლოების გამჟღავნებას,

არამედ, მეორე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და ყოფილი კლიენტის ინტერესების აშკარა და მიზანმიმართული დაზიანება.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი /ცისმარი ონიანი/